

თპუ
სამართლის ფაკულტეტის საბჭო
სხდომის ოქმი №1



თბილისი

სხდომას ესწრებოდნენ:

პროფ. კახი ყურაშვილი, პროფ. თამარ ჩიტოშვილი, პროფ. მაკა სალხინაშვილი, ასოც. პროფესორი დავით გეფერიძე, ასოც. პროფ. მანანა ხვედელიძე, პროფ. არჩილ ლორია, უფრ. მასწ. ნინო ნიკარაძე, უფრ. მასწ. მაცვალა კახაძე, უფრ. მასწ. ნათია ბიძინაშვილი

სხდომის თავჯდომარე : პროფესორი კახი ყურაშვილი

სხდომის მდივანი: ეთერ ირემაძე

დღის წესრიგი:

1. თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის სამართლის ფაკულტეტის საბჭოში ახალი წევრების დამატების შესახებ (მომხ. პროფ. კ. ყურაშვილი);
2. თპუ ჯანდაცვის ფაკულტეტის სტუდენტის ნინო კერესელიძის შიდამობილობით სამართლის ფაკულტეტზე გადმოსვლის საკითხი (მომხ. პროფ. კ. ყურაშვილი);
3. თპუ ეკონომიკის, ბიზნესისა და მართვის ფაკულტეტის სტუდენტის ალექსანდრე ძეგისაშვილის შიდამობილობით სამართლის ფაკულტეტზე გადმოსვლის საკითხი (მომხ. პროფ. კ. ყურაშვილი);
4. თპუ სამართლის ფაკულტეტის სტუდენტის ზაალ მაზაშვილისათვის სტუდენტის სტატუსის აღდგენის საკითხი (მომხ. პროფ. კ. ყურაშვილი)

1. მოისმინეს:

თპუ სამართლის ფაკულტეტის დეკანის პროფესორ კახი ყურაშვილის ინფორმაცია, იმის თაობაზე, რომ თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიურ თანამდებობებზე გამართული კონკურსის შედეგების (2010 წლის 24 იანვრის საკონკურსო კომისიის ოქმი) მიხედვით სამართლის ფაკულტეტის აკადემიურ თანამდებობებზე განწესდნენ:

ა) არჩილ ლორია – საჯარო სამართლის სრულ პროფესორად;

ბ) ლელა ნადიბაძე – კერძო სამართლის სრულ პროფესორად;

გ) თამარ ლალიაშვილი – სისხლის სამართლისა და პროცესის ასოცირებულ პროფესორად. აკადემიური საბჭოს 2009 წლის 23 მაისის №4/2009 გადაწყვეტილებით დამტკიცებული ფაკულტეტის საბჭოს შემადგენლობის განსაზღვრის წესის შესაბამისად, ფაკულტეტის აკადემიური პერსონალი უნდა გაერთიანდეს ფაკულტეტის საბჭოში. მომხსენებელმა საბჭოს წევრებს სთხოვა მხარი დაუჭირონ წარმოდგენილი პირების გაწევრიანებას ფაკულტეტის საბჭოში.

აზრი გამოთქვას: ასოც. პროფესორმა დ. გეფერიძემ, პროფ. მ. სალხინაშვილმა

სამართლის ფაკულტეტის საბჭომ გადაწყვიტა:

1. თპუ სამართლის ფაკულტეტის საბჭოს შემადგენლობას დაემატოს ახალი აკადემიური პერსონალი:
 - ა) არჩილ ლორია – საჯარო სამართლის სრული პროფესორი;
 - ბ) ლელა ნადიბაძე – კერძო სამართლის სრული პროფესორი;
 - გ) თამარ ლალიაშვილი – სისხლის სამართლისა და პროცესის ასოცირებული პროფესორი.
2. აღნიშნული გადაწყვეტილება გამოქვეყნდეს თპუ ვებ-გვერდზე;

2. მოისმინეს:

თპუ სამართლის ფაკულტეტის დეკანის პროფესორ კახი ყურაშვილის ინფორმაცია, იმის თაობაზე, რომ ჯანდაცვის ფაკულტეტის დიპლომირებული სტომატოლოგის სპეციალობის სტუდენტს ნინო კერესელიძეს (ჩარიცხვის ბრძ. №47/05 14.09.2009) სურს შეცვალოს სპეციალობა და პირადი განცხადების საფიძველზე გადმოყვანილ იქნას სამართალმცოდნეობის საბაკალავრო პროგრამაზე. ნინო კერესელიძის

მიერ წარმოდგენილი სასწავლო ბარათის მიხედვით გაკეთდა შედარება სამართალმცოდნეობის საბაკალავრო პროგრამასთან და სამი სემესტრის განმავლობაში გავლილი სასწავლო დისციპლინებიდან მას შეიძლება დაუკრედიტდეს საგანი: „უცხო ენა(ინგლისური)“ – 10 კრედიტი. ნ. კერესელიძემ მესამე სემესტრში სამართლის ფაკულტეტის დეკანის ნებართვით გაიარა ორი საგანი სამართალმცოდნეობის საბაკალავრო პროგრამით: ა) „სამართლის თეორია“ (5კრ.) – შეფასება „E“ საკმარისი; ბ) „სახელმწიფოთმცოდნეობა“ (5კრ.)– შეფასება „F“- თ (ჩაიჭრა). მომხსენებელმა საბჭოს წევრებს სთხოვა, რომ წინა კერესელიძეს უღიარონ გავლილი 15 კრედიტი და დარეგისტრირებულ იქნას სამართალმცოდნეობის საბაკალავრო პროგრამის მეორე სემესტრის სტუდენტად და მიეცეს უფლება სავალდებულო 30 კრედიტის გარდა, დამატებით მოიპივოს 15 კრედიტი.

აზრი გამოთქვეს: ასოც. პროფესორმა მ. ხვედელიძემ, პროფ. თ. ჩიტოშვილმა

სამართლის ფაკულტეტის საბჭომ იმსჯელა და გადაწყვიტა:

1. წინა კერესელიძე დარეგისტრირდეს თჰუ სამართლის ფაკულტეტის სამართალმცოდნეობის საბაკალავრო პროგრამის მეორე სემესტრის სტუდენტად 15 კრედიტის აღიარებით;
2. მიეცეს უფლება წინა კერესელიძეს მიმდინარე სემესტრში დააგროვოს დამატებით 15 კრედიტი (15 კრედიტის ღირებულების გადახდის შემთხვევაში);
3. აღნიშნული გადაწყვეტილება გამოქვეყნდეს თჰუ ვებ-გვერდზე;
4. ეთხოვოს თჰუ რექტორს აღნიშნული გადაწყვეტილების ბრძანებაში ასახვა.

3. მოისმინეს:

თჰუ სამართლის ფაკულტეტის დეკანის პროფესორ კახი ყურაშვილის ინფორმაცია, იმის თაობაზე, რომ თჰუ რექტორის 2010 წლის 18 ოქტომბრის №138/05 ბრძანებით მობილობის წესით ჩარიცხულ იქნა ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის აკადემიური პროგრამის სტუდენტი ალექსანდრე მებისაშვილი თჰუ ეკონომიკის, ბიზნესისა და მართვის ფაკულტეტის სტუდენტად. ა. მებისაშვილის 2011 წლის 5 თებერვლის განცხადების თანახმად, აქვს სურვილი შეიცვალოს სპეციალობა და ფაკულტეტი და სწავლა გააგრძელოს სამართლის ფაკულტეტზე რეალიზებული სამართალმცოდნეობის საბაკალავრო პროგრამაზე. კ. ყურაშვილმა აღნიშნა, რომ ალექსანდრე მებისაშვილს წარმოდგენილი აქვს: ა) ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან სასწავლო ბარათის ასლი, რომლის მიხედვით უნდა დაუკრედიტდეს სასწავლო კრედიტები იმ საგნებში, რომლებიც გათვალისწინებულია თჰუ სამართლის ფაკულტეტის სამართალმცოდნეობის საბაკალავრო პროგრამით.

ფაკულტეტის საბჭომ აღნიშნული სასწავლო ბარათის მიხედვით განიხილა თსუ-ს მიერ გაცემული აკადემიური მოწმობის მონაცემები და გაკეთდა შედარება თჰუ სამართლის ფაკულტეტის სამართლის საბაკალავრო პროგრამასთან, რის საფუძველზეც მიზანშეწონილად ჩაითვალა ალექსანდრე მებისაშვილს დაუკრედიტდეს გავლილი სასწავლო დისციპლინები შემდეგნაირად:

№	სასწავლო კურსის დასახელება (ორივე პროგრამით)	განსხვ. სახელწოდებით	სტატუსი	ECTS კრედიტი
1	საქართველოს ისტორია		არჩევითი	5
2	ფილოსოფია		არჩევითი	5
3	თანამედროვე ინფორმაციული ტექნოლოგიები	ინფორმატიკა	სავალდებ.	5
4	უცხო ენა I- II		სავალდებ.	10
5	სამართლის თეორია და მეთოდები	სახ. და სამართლის თეორია	სავალდებ.	5
6	ქართული სამართლის ისტორია	საქ. სახელ. და სამართლის ისტორია	სავალდებ.	5
7	სახელმწ. და სამართლის მსოფ. ისტორია	საზღ. ქვ. სახ. და სამ. ისტ.	სავალდებ.	5
8	საქართველოს კონსტიტუციური სამართალი		სავალდებ.	5
9	ადამიანის უფლებები და თავისუფლებები	პირ. კონსტიტუციური უფლებები – 2კრ. ადამ. უფლებების დაცვის საერთაშ. სამართალი – 2კრ.	სავალდებ.	5
10	საქ. ზოგადი ადმინისტრაციული სამართალი		სავალდებ.	5

11	საქ. ადმინისტრ. საპროცესო სამართალი	ადმ. სამ. პროცესი	სავალდებ.	5
12	საერთაშორისო საჯარო სამართალი		სავალდებ.	5
13	შესავალი სამოქალაქო სამართალში	სამოქალაქო სამ. ზ/ნ	სავალდებ.	10
14	სანივთო სამართალი		სავალდებ.	5
15	ვალდებულებითი სამართლის ზოგადი ნაწილი		სავალდებ.	5
16	საოჯახო და მემკვიდრეობითი სამართალი	საოჯახო სამართალი მემკვიდრეობითი სამ.	სავალდებ.	5
17	საკორპორაციო სამართალი		სავალდებ.	5
18	საქ. სამოქალაქო სამართლის პროცესი		სავალდებ.	10
19	საქ. შრომის სამართალი	შრომისა და სოც. უზ. სამ.	სავალდებ.	5
18	საქ. სისხლის სამართალი (ზოგადი ნაწილი)		სავალდებ.	10
19	საქ. სისხლის სამართალი (კერძო ნაწილი)		სავალდებ.	10
20	საქ. სისხლის სამართლის პროცესი		სავალდებ.	10
21	პოლიტ. და სამართლებრივი მოძღვრებები		არჩევითი	5
22	რომის სამართლის საფუძვლები	რომის სამართალი	არჩევითი	5
23	შედარებითი კონსტიტუციური სამართალი	საზღ. ქვ. კონსტ. სამართალი	არჩევითი	5
24	საფინანსო სამართალი		არჩევითი	4
25	ინტელექტუალური საკუთრებისა და საავტორო სამართალი	ინტ. საკ. სამართალი	არჩევითი	5
26	კრიმინალისტიკა		არჩევითი	5
სულ				169

აზრი გამოთქვეს: ასოც. პროფესორმა დ. გეფერიძემ, უფრ. მასწ. ნ. ნიჟარაძემ

სამართლის ფაკულტეტის საბჭომ, კენჭისყრის შედეგად ერთხმად გადაწყვიტა:

1. ალექსანდრე ძეგისაშვილი დარეგისტრირდეს თბუ სამართლის ფაკულტეტის სამართალმცოდნეობის საბაკალავრო პროგრამის მე-7 სემესტრის სტუდენტად 169 კრედიტის აღიარებით;
2. მიეცეს უფლება ალექსანდრე ძეგისაშვილს მიმდინარე სემესტრში დააგროვოს დამატებით 11 კრედიტი (11 კრედიტის ღირებულების გადახდის შემთხვევაში);
3. აღნიშნული გადაწყვეტილება გამოქვეყნდეს თბუ ვებ-გვერდზე;
4. ეთხოვოს თბუ რექტორს აღნიშნული გადაწყვეტილების ბრძანებაში ასახვა.

4. მოისმინეს:

თბუ სამართლის ფაკულტეტის დეკანის პროფესორ ვახი ყურაშვილის ინფორმაცია, იმის თაობაზე, რომ სამართლის ფაკულტეტის სტუდენტს ზაალ მაზაშვილს თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის წესდების მე-9 მუხლისა და თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის დებულების მე-11 მუხლის შესაბამისად, 2010 წლის 29 იანვრის პირადი განცხადების საფუძველზე სურს სტუდენტის სტატუსის აღდგენა. მომხსენებელმა საბჭოს წევრებს სთხოვა, რომ განიხილონ აღნიშნული საკითხი და დადებითად დააკმაყოფილონ ზ. მაზაშვილის თხოვნა.

აზრი გამოთქვეს: ასოც. პროფ. მ. ხვედელიძემ და უფრ. მასწ. ნ. ნიჟარაძემ

სამართლის ფაკულტეტის საბჭომ გადაწყვიტა:

1. აღუდგეს თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტის სტატუსი, სამართლის ფაკულტეტის სამართალმცოდნეობის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტ ზაალ მაზაშვილს 2010-2011 სასწავლო წლის საგაზაფხულო სემესტრიდან;
2. აღნიშნული გადაწყვეტილება გამოქვეყნდეს თბუ ვებ-გვერდზე;
3. ეთხოვოს თბუ რექტორს აღნიშნული გადაწყვეტილების ბრძანებაში ასახვა.

ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარე :

სხდომის მდივანი:

Handwritten signature



კ. ყურაშვილი

ე. ირემაძე